

დიდა

რაფაელი, ტურჯა ჭავჭავაძის
ილუსტრაცია, ქართული მხარე,
და ზენე, ქართული, სწავლითა
სამშობლო გახარეთ!

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის



№ 10
ოქტომბერი
1951



თინათინ კვიციანი

ნახატი რ. ხტურუაძე

გზვიღობა გვინდა!

საბჭოთა ქვეყნის შვილებს
თმი არა გვსურს, არა.
მხოლოდ მშვიდობა გვინდა,
მშვიდობა გვინდა ძარღვ!

ზარობს სამშობლო ვრცელი,
ჯეჯილი ღელავს შინდურად.
თმი არა გვსურს, არა!
სწავლა, მშვიდობა გვინდა!



ბორის ჩხაიძე

ტურის ჭადა

427

ულრან ტყეს და სოფელ ხობხეთს დიდი შარაგზა ჰყოფს. ფართო მინდვრებზე კოლმეურნეები თესენ პურს, სიმინდს, ქერსა და თამბაქოს. ხობხეთლებს ბაღები და ვენახებიც აქვთ. სოფლის შუაგულში წყაროც არის; კოლმეურნეებს პაპა რევაზის თაოსნობით თლილი ქვის თალი და გრძელი გეგვები მოუწყვიათ,—თალის შუაგულში მავჯის სიმსხო მიღებიდან ანკარა წყალი გადმოქუხს. წყაროს მოშორებით დგას კოლმეურნეობის კანტორა.

გოლას პაპას—რევაზს ძლიერ უყვარს ეს წყარო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძია როინი და პაპა რევაზი მეგობრები არიან. როინი და პაპა რევაზი ხშირად კამათობენ კიდევ.

აი, ახლაც, პურის აღებას რომ მოორჩინენ, გოლა როინისა და პაპას საუბარს დაესწრო.

— ძია რევაზ, გახსოვს კოლმეურნეობის კრების დადგენილება ზვრის გაშენების შესახებ?—ჰკითხა როინმა პაპა რევაზს.

— მახსოვს, მაგრამ ნაპურალში ზვრის გაშენების წინააღმდეგი ვარ.—მიუგო პაპა რევაზმა.

— მე კი ნაპურალის გადაბრუნების მომხრე ვარ. შენ თუ მხარს არ მიჭერ, სხვა მოსაზრება მითხარი.—უთხრა როინმა.

— ვენახის გაშენება ტურის ქალაში აჯობებს.

— აბა, ტყიანი რით სჯობია ნაპურალ მიწას!—ველარ მოითმინა როინმა.

პაპა რევაზი წამოაღდა.

— სწორედ იმიტომ სჯობია, რომ ტურის ქალა ტყიანია. მიწა დასვენებულა, ნატყვევარზე ვაზი უკეთ ხარობს, კოლმეურნეობას ახალი ფართობიც შემატება.

— შეგიძლია, ძია რევაზ, საზვრეს ნოწყობას უმეთაურო?

— შემიძლია, განა ასეთები გამიკეთებია ჩემი ბრიგადირობის დროს?

— მაშ, დღესვე გასწიე; შეუდექი სამეს!



საუკეთესო ზვარი გვექნება ხოხბეთ-
ლებს!—წამოიძახა გახარებულმა პაპა რე-
ვაზმა და როინს ხელი მაგრად ჩამოარ-
თვა.

იმ დღესვე პაპა რევაზმა კოლმეურ-
ნეობის ნიკორა კამეჩები ურემში შეება
და წასასვლელად გაემზადა.

— აბა, წვრილფეხობავ!—გასძახა გო-
ლასა და იმის ამხანაგებს.—დასხედით
ურემზე, გავსწიოთ ტურის ქალაში.

ბავშვები ყიჟინით შესხდნენ ურემზე.
პაპა კოფოზე დაუჯდა, კამეჩები ტურის
ქალისაკენ გაუყენა. ერთი საათის შემ-
დეგ ურემი ტყის შუაგულში გააჩერა და
მიდამო გულმოდგინედ დაათვალიერა.
აქ ყმაწვილებმა დახავებული ქვიტკი-
რის მაღალი ნანგრევები შეინიშნეს.

— პაპა, ეს ვის აუშენებია?—ჰკითხეს
ბავშვებმა.

— ჰაი, დედასა!—ამოიოხრა პაპამ და
მუშტი მკერდზე დაიკრა.

— ვის ემუქრები, პაპა?—იკითხეს გაკ-
ვირვებულმა ყმაწვილებმა.

პაპამ ბავშვები ჩრდილში დასხა და
ყალიონს რომ მოუყიდა მოჰყვა:

— აქ, ოდესღაც სოფელი იყო ბა-
ლებით და ვენახებით შემკული, მაგრამ
მტერი შემოესია, ხალხი გასწყვიტა, სო-
ფელი გადასწვა. ცეცხლს მარტო ეს ცი-
ხის კედლები და ძველი საყდარი გა-
დაურჩა.

— სოფელს ტურის ქალა ერქვა?—
იკითხა გოლამ.

— იმ სოფლის სახელი აღარავის ახ-
სოვს. ტურის ქალა იმის შემდეგ დაერ-
ქვა, რაც აქ ეს ბარდები გაჩნდა და შიგ
ტურებმა დაიბუდეს. ამ გაზაფხულზე კი
ვაზი უნდა ჩავყაროთ ტურის ქალაში!
ჩვენები აქ დიდი ზვრის გაშენებას აპი-
რებენ: მორჩა, აღარ იქნება ტურის ქალა!

— ვინ გამოვა საშუალოდ?—იკითხა
თამარიკომ.

— სველა, მთელი კოლმეურნეობა!—
უპასუხა პაპამ.

— მაშ, დედაჩემიც აქ იქნება!—თქვა
ამაყად თამარიკომ.

იმ საღამოს ხოხბეთში დიდი სამზა-
ლისი გაჩაღდა. კოლმეურნეები საჩქა-
როდ ლესავდნენ იარაღებს. იმზადებდ-
ნენ ტყის საკაფავში ჩასაცმელ ტანისა-
მოსს. პაპა რევაზმა კამეჩები ფერმაში კი
არ გარეკა, ეზოში დააბა და თივა ბლო-
მად დაუყარა.

ყმაწვილებმა გადაწყვიტეს პაპა რე-
ვაზს კიდე წააყულოდნენ ტურის ქა-
ლაში.

— წამოდით! ურემქვეშ თივას გაგიშ-
ლით, დაწეით და იძინეთ გათენებამ-
დე!—დაეთანხმა პაპა და ურემში ისევ
შეაბა ნიკორა კამეჩები.

ტურის ქალა გაუფალი იყო. კუნე-
ლებს, შვინდებს, იფნებსა და კაკლებს
გარს შემოხვეოდნენ კატაბარდა, ეკალა,
კრიკინა და მაცყალი. პაპამ და ბავშვებ-
მა ღამე ნანგრევებთან გაათენეს. ისინი
დილადრიან სატვირთო ავტომობილე-
ბის გუგუნმა გამოადვიდა;—ხოხბეთელი
კოლმეურნეები სიმღერით მოვიდნენ.
კოლმეურნეები შეიარაღებული იყვნენ
წალღებით, ტულღებით და ნაჯახებით.
ამოდებთ ერთად შეგროვილი ხალხი გო-
ლასა და იმის მგვობრებს პირველმისო-
ბას თუ ენახათ.

პაპა რევაზი მოსულებს ოცეულებად
რახმავდა. მიჰყავდა ტყეში და უბანს
უჩვენებდა: აქედან მოჰყეთ და კაფეთო.

როცა მოსულები საშუაოს შეუღდ-
ნენ, საქმაოდ გათენებული იყო. ძია
როინმა ქალა და ძველი ნაციხარი დაათ-
ვალიერა და პაპას ჰკითხა:

— საუკეთესო ადგილია, მაგრამ სად
იყო სოფლის წყარო?

— აი, აქ!—მიუგო პაპამ კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარეს და უჩვენა ნაცი-
ხარის მოშორებით დამდგარი აშშორე-
ბული გუბე, რომლის შუაგულში წმინ-
და წყალი ამობუქბუქებდა.

— აღვადგინოთ წყარო!—თქვა ძია

როინმა და პაპამაც უმაღლვე რამდენიმე კაცი წყაროს აღდგენაზე გადაიყვანა.

ორ კვირას ვაგრძელდა ტურის ქალის ბარდებთან ბრძოლა. გამარჯვება კოლმეურნეებს დაჩაბდა. ბარდნაღის აღვილას ახლა ჩასხებილი ტოტები და ჩამქნარი ფოთლები ეყარა. დიდ მხიარულებას მოეცვა ტურის სატირალი მიდამოები. კოლმეურნეები სიმღერით მუშაობდნენ; თამრიკოს ოვდა იწყებდა პირველს, მას მოძახილსა და ბანს ეუბნებოდნენ სხვა კოლმეურნეები. მუშაობით გატაცებულ მუშებს გოლა, დათუნა და თამრიკო ახალ წყაროდან სურებით ევს, წყალს უზიდავდნენ.

ერთ დღეს პაპა რევაზმა ხმელი ტოტების კონას ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლმა დასწვა ეკლები და ნუჯრები; გამოჩნდა ტურის ქალის გაწმენდილი მოედანი.

— ჩვენისთანა ზვარი არა მგონია ბევრს ექნეს ჩვენს რაიონში.— ემაყოფილებით თქვეს კოლმეურნეებმა.

— ქონებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია.— თქვა პაპა რევაზმა, — წინ ბევრი საქმე გვაქვს. ეს საზვრე ფესვებისგანაც უნდა გავწმინდოთ, მერე მთლად გადავბარუნოთ, მერე ვაზი ჩაეყაროთ, ამ საქმესაც დღესვე შევუდგეთ.

ამ სიტყვების შემდეგ კოლმეურნეებმა წალღები და ცულები ბარებთა და წერაქვებით შეცვალეს. ძია როინმა პაპა რევაზს დაავალა ეს საქმე საშემოდგომო თვისის დაწყებამდე მთლად შეესრულებინათ.

კოლმეურნეები აბრუნებდნენ მიწას. მიწაში ღრმად ფესვებგადგმული ხეების ძირკვები მუშაობას ძლიერ აფერხებდა, იმათ ამოძირკვას დიდი დრო და ძალა მიჰქონდა.

გოლა ცდილობდა მოხმარებას. მაგრამ აბა, რა შეეძლო? ერთხელ, როცა პაპა და კოლმეურნეები დიდ ძირკვს თხრიდნენ გოლამ გაუბედავად ჰკითხა:

— პაპა! ნუ თუ ტრაქტორს ვერ იშოვით?

— ჩვენს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მეტი რა არის! ნახევარ საათში თუნდაც ათ ტრაქტორს მოვიყვან, მაგრამ რად გვჭირდება?


— ტრაქტორს ჯაქვები არა აქვს?— იკითხა გოლამ.

— აქვს.

— ხომ შეიძლება ის ჯაქვები მიეუბათ ხოლმე ძირკვებს. ტრაქტორი კი მოსწევს და ამოთხრის.

— ეს როგორ ვერ მოვიფიქრე, ვაი შენ ჩემო თავო!— შემოიკრა თავში ხელი პაპამ. გოლა ჰაერში შეაბურთავა, შუბლზე აკოცა და ძია როინთან გაეშურა. მალე ექვსსუბლოზოვანი ტრაქტორი ავღუვნდა ტურის ქალაზე. მანქანებმა ადვილად დათხარეს ძირკვები, მერე კი თავიანთი მძლავრი გუთნები გაატარეს მიწაში და თავიდან ბოლომდე ამოაბრუნეს ორმოცი ჰექტარი ფართობი.

ასე გადაიქცა ტურის ქალა ზოხბეთის ახალ ზვრად.



ნანული დასახლისი

მზესაც დაასწრო ადგომა,
ოჯახს შემატა ხალისი,
დადის და ქათმებს აპურებს
პატარა დასახლისი.

კაბა ჩაიცვა დედისა,
თავს მოიხვია მანდილი,
ქათმებს წარუდგა ეზოში
დასახლისი ნამდვილი.

ფეტვი, სიმინდი, ხორბალი,
შინ შენახული რაც არი,

სუყველა გადაუყარა,
ალარ დატოვა მარცვალი.

გამხიარულდნენ ქათმები:
— ეს რა დღე გავითენდლო,
არც ჭიის ძებნა გვჭირდება,
ალარც ბალახის კენკვაო.

აკაკანდნენ და ამღერდნენ,
და გადაწყვიტეს: დღეიდან
ჩვენს მომვლელად და პატრონად
იყოს ნანული „დეიდა“!





ქ. გომიანური

ნახატი ალ. ზანძელაძისა

დათუნას ნაამბობი

ჩვენს ეზოში, კაკლის ძირში, ბავშვები შეკრებილიყვნენ და ყველა დათოს შესცქეროდა. პაპა გიორგიც იქ იყო.

— დაიწყე, დაიწყე! — გაიძახოდნენ ბავშვები.

— არ დაიწყო, დათო, მოიცა, მეც მოვდივარ, — დაიძახა აივნიდან მერაბმა, საფეხურები სწრაფად ჩამოირბინა და პაპა გიორგის კალთაში ჩაუჯდა.

დათომ ხელში მოგროძო ჯოხი აიღო, ძირს დაყრილ სილის გორას დაადო და დაიწყო:

— გასულ კვირას მამამ სამგორის სანახავად წამიყვანა. ავკლისაკენ მიმავალი გზით ვავემზავრეთ. ჩვენთან ერთად მანქანაში მამას მეგობარი ინჟინერი ძია შალვაც იყო, რომელიც სამგორში მუშაობს. ძია შალვა ყველაფერს გვიხსნიდა. პირველად ჩაღრმავებულ ადგილს მივადექით, რომელსაც ვარშემო უზარმაზარი მთები აკრავს, აქ თბილისის

სის წყალსაცავი იქნება. ამ ადგილს ასეთი მღებარეობა აქვს, — თქვა დათომ და სილაში დიდი ორმო ამოთხარა:

— აი, აქ იქნება თბილისის „ზღვა“.

— რა კარგია! — იძახდნენ ბავშვები.

— ამ ზღვაში ჩავა ივრის წყალი არხით.

შიგ ნაგები და პატარა გემები ივლიან, წელიწადნახევარი უნდა იდინოს იორმა არხში რომ ზღვა გაივსოს, ზღვის გაწუმო კი ბაღები და აგარაკები გაშენდება.

— ამას რას მოვესწარი, რას შერება ეს ხალხი, ზღვა თბილისთან ჩამოგვიყვანეს! — წამოძახა პაპა გიორგიმ.

— ზღვაში თევზებიც იქნება? — იკითხა ნუგზარმა.

— იქნება, მაშ!

— აბა, გიყვარდეს თევზაობა! — თქვა ნუგზარმა და მერაბს მიუბრუნდა:

— მერაბ, ჩემი ანკესები ხომ არ და გიკარგავს?

— მოიცა, რა დროს ანკეცებია, და-
თოს მოვუსმინოთ! — შეაჩერა ნიკომ.

— ჩვენს ახლოს მუშები მუშაობდ-
ნენ, — განაგრძო დათომ, — ზღვის ნაპი-
რებს ამაგრებდნენ.

— ეს ზღვა რომ გაიკვება, ნაპირებ-
ზე ხომ გადმოვა? — იკითხა მერაბმა.

— არა, ამ ზღვიდან არხებით მოირ-
წყვება ვეებერთელა ველები! — მიუგო და-
თუნამ და განაგრძო:

— დაღმართზე დავეშვით. მომავალი
ზღვის ფსკერზე მიჰქროდა ჩვენი მანქანა.
უცბად გუგუნნი მომესმა. გავიხედე და
რაღაც უზარმაზარი მანქანა დავინახე.
იმოდენა ბორბლები ჰქონდა, რომ ასე-
თი რამ არასოდეს მინახავს. ეს მიწის
სათბრელ-სახვეტი მანქანა — სკრეპერი
იყო. ამ მანქანამ წყლის გასაშვებ არხ-
თან მიწა დაჰყარა, მერე გაასწორა, ბორბ-
ლებით დატკეპნა და გუგუნით უკანვე
გაბრუნდა.

შემდეგ არხის გაყოლებით გაუუღე-
ქით გზას. ამ არხის სიგრძე, თბილისის
ზღვიდან — სათავემდე, ძლიერ დიდია, ხო-
ლო სამგორის ყველა სარწყავი არხი
რომ ერთმანეთს წავაბათ, ეს ხომ დიდზე
დიდი იქნება.

— უჰ! გაიკვირვა მარინემ.
გზაში ვნახეთ მთებზე დაკიდებული
არხი. დავათვალიერეთ ჰიდრო-ელექ-
ტროსადგურების მშენებლობა, რომლებ-
საც სამგორელი მშენებლები სამგორის
მომავალი მოსახლეობისათვის აშენებენ.
აქ მეტ წილად ლამაზი, კოხტა სახლები
დგანან და შიგ მშენებელი მუშები ცხოვ-
რობენ.

დიდხანს ვიარეთ. გზიდან უჯარმის
ციხის ნანგრევები გამოჩნდა; ეს ციხე,
თურმე, ჩვენი ძველი წინაპრების დიდად
გონიერ მეფეს ვახტანგ გორგასალს აუშე-
ნებია. ამის შესახებ ბევრი რამ საინტე-
რესო გვიამბო ძია შალვამ.

მაღე სამგორის არხის სათავესთან
მივედით, აქ დიდი მუშაობა იყო გაჩა-
ლებული.

— ამ სათავიდან არხით წამოვა ივ-
რის წყალი და შემდეგ ამ გვირაბში შე-
ვა, — გვითხრა ინჟინერმა და ელექტრო-
მუქით გაჩაღებულ მოსიქვეშა გვირაბში
შეგვიყვანა.

გვირაბიდან რომ გამოვედით, კახე-
თის გზით თბილისისაკენ გამოვეშურეთ.
რამდენიმე ხნის შემდეგ ველზე სამი გო-
რა დავინახე.

— სამგორი? — ჰკითხა მარინემ.

— მოიცა! გეტყვით, — უთხრა დათუ-
ნამ და განაგრძო:

— მანქანიდან გადმოვხტით და უზარ-
მაზარ გათხრილ გორასთან მივედით: ეს
სამი გორაკი ხალხს ხელოვნურად გაუ-
კეთებია; ასეთი გორაკებით თურმე, ძვე-
ლად, აღნიშნავდნენ მეთაურთა საფლა-
ვეებს. სიძველეთა შემსწავლელმა მეც-
ნიერებმა, რომელთაც არქეოლოგებს
უწოდებენ, გათხარეს ერთ-ერთი ასეთი
გორაკი და შიგ დიდი საგვარეულო სა-
მარხი — ხის შენობა და თიხის ჭურჭელი
აღმოაჩინეს. ეს სამარხი ოთხი ათასი
წლის არისო, — ასე აგვიხსნა ძია შალვამ.


— ოთხი ათასი? — გაიოცეს ბავშვებმა.

— ეჰ, მე კიდევ კარგად ვერ გიამ-
ბეთ, სამგორში ახლა ისეთი დიდი მშე-
ნებლობაა, რომ ამის შესახებ ყველაფ-
რის მოყოლა ძნელია! — დაასრულა და-
თუნამ.

პაპა გიორგი წამოდგა და დათუნას
მხარზე ხელი დაჰკრა:

— ყოჩაღ, დათო, კარგად დაგიმახ-
სოვრებია ყველაფერი! ეჰ, ნეტავი მეც
თქვენოდენა ვიყო, ბავშვებო, რამდენ
რამეს მოვესწრებოდი: სამგორის ბა-
ღებს, თბილისის ზღვაზე მოცურავე გე-
მებს და ივრის წყლით მორწყულ თვალ-
უწვდენ ველებს. — თქვა პაპა გიორგიმ და
პატარებს აღერსიანად გადახედა.

— თქვენც მოესწრებით, პაპა, მოეს-
წრებით! — მხიარულად შესძახეს ბავშვებ-
მა და საყვარელ მოხუცს გარს შემო-
ხვივნენ.



ა. მნელი

ნახატი ზ. შეპარიშვილისა

ძერა და წიწილები

ჩვენს ფერმას წინილები ჰყავს,—
ვერ დათვლი, ისე ბევრი;
ზოგი თოვლივით თეთრია,
ზოგიც—ნახშირისფერი!

დიდით რომ წიაფ-წიავით
გაიძვლებიან ვეღად,—
გაკვირვებით და ღიმილით
იმათ უცქერის ყველა.

ვინმემ რომ რამე არ ავნოს,
ფხიზლად გვიჭირავს თვალი;
უღიველი აქვთ საკუნკვი,
ანკარა წყაროს წყალი.

ერთხელ, სულ რომ არ ვეღოვით,
ჩამოიქროლა ძერამ,
ორი წინილი მოგვტაცა
იმ წუნკვამ, გაიძვერამ.

ეს ფერმის გამგემ გაიგო,
იხმო ყველა იქ მყოფი,
თქვა: „ჩაუსაფრდეს თვედორე
თავისი კოხტა თოფით.“

დიდა გათენდა. თვედორე
ბურკში ზის... ძერას ელის,

ელის და კიფეც გამოჩნდა
ონაფარ-მტაცებელი!

ყველა: დიდი და პატარა
ბრაზით შეჭყურებს ძერას,
ცაში რომ ღალად ნავარდობს
და ფერმის ეზოს ზეერავს.

აღბათ აღარ სურს წინილა,
ვარიას ეძებს ახლა...
ფრთებით მოკეცა, როგორც ქვა-
ხელით ნასროლი მაღლა

ისე დაეშვა მინისკენ,
კლანჭი მომართა თანაც,
წამი და... წინილთ წიაჭი
შესძრავდა მთელ ქვეყანას...

— ბუჰ!—დაიქუხა თვედორემ
„იყოცვამ“¹⁾ განა ფილთამ,
მისი გრგვინვა და გრილი
მაღად მთას გადასცილდა.

თვედორემ ფერმას, მერე ველს
გახედა აღმაცერად,—
წინილთა ჭარის წინაშე
სულს დევდა წუნკვი ძერა!

¹⁾ იყოცვამ—სანადირო თოფის სახელწოდება



მარიკანი

ჭიქა თაფლი



რად შეუყვარდა პატარა გურამს სკოლის დარაჯი ონოფრე?

ჯერ ერთი, იმიტომ, დედამ პირველად რომ მიიყვანა გურამი სკოლაში, ონოფრე მისსაღმა გურამს, კარი ფართოდ გაუღო და უთხრა:

— მობრძანდი, პატარა ვაჟაკო!

ვაჟაკის სახელი პირველად დარაჯმა ონოფრემ უწოდა გურამს, ალბათ გრძელი შარვალი რომ ეცვა და სკოლის ფორმის ქული ეხურა!

პირველკლასელმა გურამმა ამ სიტყვებზე სიამაყე იგრძნო.

მეორე მიზეზი ის იყო, რომ ძია ონოფრეს თოვლის პაპასავით თეთრი, გრძელი წვერი ჰქონდა. როდესაც ონოფრე ლაპარაკობდა და იცინოდა, წვერიც ოდნე მოძრაობდა.

მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ძია ონოფრე ნებას არავის აძლევდა, პირველკლასელები ვისმეს აბუჩად აეგდო და დაეჩხვრა.

ერთხელ, ერთმა ბიჭმა გურამს ქული მოჰგლიჯა და იატაკზე დაუგდო.

როგორ გაუწყრა ძია ონოფრე! ონავარს დირექტორთან წაყვანიდაც კი დაემუქრა!

დიდი პატივისცემით ეყვრობოდა გურამი ძია ონოფრეს: მოსვლისას უმკველად ქულს მოუხდიდა და წასვლისას, ეღრე არ გამოემშვიდობებოდა, ქულს არ დაიხურავდა.

კარისკაცი ონოფრე ყველას გულთბილად და თავაზიანად ექცეოდა, მაგრამ თუ ვინმე უწესობას ჩაიდენდა, ძლიერ განრისხდებოდა ხოლმე.

ზაფხულის არდადეგები დასრულდა. გურამი უკვე მეორეკლასელი იყო, უხაროდა სასწავლო წლის დაწყება. სამი თვე სოფელში გაატარა და ამხანაგები მოენატრა. ძია ონოფრეც მოენატრა;

სწავლის დამთავრებისას ონოფრემ ხუმრობით უთხრა: აბა, გურამ, იმედია შენ მაინც არ დამივიწყებო. გურამს გულში ჩარჩა ეს სიტყვები, არ იცოდა, რითი დამეტკიცებინა მოხუცისათვის, რომ ახსოვდა, და დედას სკოლაში წასვლისას უთხრა:

— დედიკო, მომეცი ერთი ჭიქა თაფლი, დიდდამ რომ გამოგვატანა.

— სკოლაში მიდიხარ. რა დროს თაფლია?— გაუკვირდა დედას.

— მინდა ძია ონოფრეს მივუტანო, გაეხარდება, აბა, ისე არ დამიჯერებს, რომ მახსოვდა!— დარცხვენით მიუგო გურამმა.

დედას გაეღიმა. დიდი ქილიდან ჭიქაში თაფლი გადმოუხსა, ქალაღლი მოაკრა, ბავშვს გაატანა და თან დაარიგა:

— ფრთხილად უნდა წაიღო, ტანი-სამოსი და ხელები არ დაისვარო.

გურამი, სიხარულთი, კი არ მიდიოდა, მიფრინავდა ქუჩაში, თან ჭიქა მაგრად ეჭირა. სკოლის დიდი კარი ღია დახვდა, მაგრამ... ძია ონოფრე იქ აღარ იყო... იმის ნაცვლად, ვილაც უცხო კაცი იღგა კართან და ყველა მიმსვლელს ათვალიერებდა: ბავშვს რომ ჭიქა დაუნახა ხელში, ჰკითხა:

— შენ დიასახლისი ხარ, თუ მოსწავლე?! სკოლაში თაფლი ვის მოაქვს?! დადგი აქ, ფანჯრის რაფაზე, წასვლისას შინ წაიღებ!

გამრა პატარა გურამი. ეწყინა, რომ

ონოფრე არ დახვდა. ეწყინა ეს უსამართლო საყვედური. ცრემლები აღჩნობდა. ისიც ვერ მოახერხა, რომ ეკითხა: სად არის ძია ონოფრე? რა დამართათო.

ახალმა კარისკაცმა ჭიქა გამოართვა და ისე აუშვა კიბზე.

დანაღვლიანებული შევიდა კლასში პატარა გურამი. ამხანაგები მხიარულად შეხვდნენ, დახტოდნენ, ცქმუტავდნენ, მერხებზე ადგილებს ირჩევდნენ. გურამი კი მოწყენილი იყო, მივიდა და ჩუმად დაიკავა ძველი ადგილი.

მასწავლებელი შემოვიდა. გურამს გაეხარდა, რომ შარშანდელი მასწავლებელი ჰყავდათ, — კეთილი და სათნო:

მასწავლებელმა ყველა მოსწავლე ათვალიერა, ახლებს გვარი და სახელი გამოჰკითხა. მერე ბავშვები სიმაღლის მიხედვით დასხა მერხებზე, რომ ტანმორჩილები უფრო წინ ყოფილიყვნენ და მოზრდილებს არ დაეფარათ.

როგორ გამოეპარებოდა მასწავლებლის გამოცდილ თვალს, რომ გურამი დანაღვლიანებული იყო?

— რა გაწუხებს, გურამ? რაზე ფიქრობ?

— თაფლზე... — უპასუხა გურამმა.

მთელმა კლასმა გადაიხარხარა. გურამს

ცრემლები წამოსცივდა. მასწავლებელს გაუკვირდა:

— არ მესმის, რა დროს თაფლია?

— ძია ონოფრეს თაფლი მოვეტანე... და არ დამხვდა... — ამოუჯდა გული გურამს და ატირდა.

— რა გატირებს, კარგად მოქცეულხარ, ძია ონოფრე ავად არის... გული სტკივა... აქვე სკოლის ეზოში ცხოვრობს... ვაკვეთილი რომ გათავდება, ერთად წავიდეთ და ვინახულოთ, ძალიან გაეხარდება შენი ყურადღება.


ბავშვებს შორის დუმილი ჩამოვარდა. შერცხვათ, რომ უდროოდ გაიცინეს.

როგორ გაეხარდა მოხუც ონოფრეს, როდესაც მის პატარა ოთახს ეწვია პატივცემული მასწავლებელი და პატარა გურამი.

— აი, უთუოდ ეს თაფლი მომარჩენს! — ვაილიმა ონოფრემ. — შინაური თაფლია?! გამიგონია გულს უხდებოა. გმადლობ, ჩემო გურამ, რომ არ დამივიწყე...

მოხუცმა ათრთოლებული ხელი ბავშვს თავზე გადაუსვა და უხაროდა, რომ პატარა გურამის გულში მასაც ადგილი დაემკვიდრებინა.





მკანან ლახანიძე

პატარა გიგლა და დიდი ქალაქი

სექტემბრის მზიანი დღია. სოფლის მისასვლელთან, ფერდობზე, პატარა კოხტა ეზოში ბებო ძროხას წველის. ძროხის წინა ფეხებთან ჩატუტკულა ოთხი-ხუთი წლის ბიჭი გიგლა და თვალს ადევნებს მოხუცის თითების ჩქარ მოძრაობას. მესერს ვადალმა მოჩანს კოპწია, ორსართულიანი ცისფერი ავარაკი.

— დიდდო, — ამბობს გიგლა ხეწნით — ქალაქში მინდა წასვლა, დიდდო.

— რათა, შეილო? — ამბობს მოხუცი.

— ქალაქი მინდა ნახო.

— ქალაქი, შეილო, თვითონ მოვა აქა.

— რად არ მოვიდა ამდენ ხანს, — უცმა-ყოფილად ამბობს ბიჭი და ჯოხით მიწის ჩიჩქნას უმატებს, — ავერ, ხუთი წლისა ესრულდები და — სულ მოდის!..

— ზოვა, შეილო, მოვა! ავერ უცხად კი არ შეიძლება! ქალაქი დიდია და ნელა მოდის.

— იპ, — ამბობს გიგლა და ფეხზე დგება, — რა მოუსვლელი დაემართა, რა?! — მერე კიშკარში ფეხაკრეფით გადის და იქიდან გასძახის:

— კლავანთსა მივიღივარ, დიდდო, მამას უნდა მივევებოთ...

გიგლას მამა ინტინერია, ქალაქში მუშაობს

და ავერ ის ქალაქი, ძირს რომ მოჩანს, — სოფელში მოპყავს. ჯერ-ჯერობით ლამაზი, ასფალტინი გზა გამოიყვანა, მალე თვითონ ქალაქსაც მოიყვანს. გიგლამ კარგად არ იცის, როგორ უნდა მოიყვანოს მამამ ქალაქი სოფელში, ერთს კი ხედება: ატყუებენ ბიჭს, არ უნდათ ქალაქში წაიყვანონ. აკი ყოველდღე ეუბნებიან, — ხვალ ამოვა ქალაქიო. დღეს კი დიდდოს დასცდა: ქალაქი დიდია და ნელა მოდის...

გიგლას თვალწინ დაუდგა დიდი, ლურჯ-წითელი ბურთი, ფერადი ფანქარები და უცნაური მრგვალი სათლელი, რომელიც ამას წინათ ქალაქიდან ჩამოუტანეს კოლას: შეპყო კოლამ ყვითელი ფანქარი იმ სათლელში დაატრიალა ერთი-ორჯერ და გამოიღო მერე სათლელიდან ლამაზად გამოჩარხული ფანქარი, გიგლას კი... ერთხელაც არ წაათლევინა...

ამ ფიქრში იყო გიგლა, რომ უცებ, ზურგსუკან რალაკამ ერთი მაგრად შეპყვირა. ბიჭმა საჩქაროდ მოიხედა, მის წინ კოხტა ავტომობილი იდგა. დიდდოს ეზო-ბოსტანი აღარსად ჩანდა. უნებლიედ თბილისის გზას დასდგომოდა

გიგლა. ავტომობილის პრილა ფანჯრიდან უცხო კაცი უღიმოდა.

— სად მიდისარ, ბიჭუნი?—ჰკითხა პირვაპარსულმა კაცმა, რომელსაც ქალაქური მრგვალი ქუდი ეხურა და სათვალეები ეკეთა.

„არ დამეჯახოსო!“,—გაიფიქრა გიგლამ და გაკრიალებულ მანქანას საჩქაროდ გვერდიდან მიუღდა. კაცი ისევ იღიმებოდა და ბიქს ათვლიერებდა.

— სად მიემგზავრები, ბიჭუნი?—გაუთმეორა კაცმა დაყვავებით.

— ქალაქში, მამისთან.—წარმოსთქვა გიგლამ და ლამაზი ავტომობილი ერთხელ კიდევ შეათვალიერა.

— რას აკეთებს მამაშენი ქალაქში?—შეეკითხა კაცი.

— რასა და, სოფელში ამოჰყავს...

— აჰ, შოფერი ყოფილა. ვინ ამოჰყავს?

— იჰ, შოფერი კი არა! ინჟინერი...

— ინჟინერია? მაშ ვინ მოჰყავს სოფელში?!

— ვინ და ქალაქი!

— როგორ, ქალაქი მოჰყავს სოფელში?!

— ჰო, ქალაქი მოჰყავს.

კაცმა გულიანად გაიკინა. მერე საჩქაროდ შესწყვიტა სიცილი და თქვა:

— მე ვართლა საინტერესოა, ძალზე საინტერესოა... აი, მეც ბევრი მიფიქრია მაგის შესახებ... მართლაც კარგი საქმე იქნება აქამდე გამოსული ქალაქი! კარგი მამა გყოლია! მოდი, ჩამიჯექ მანქანაში, შე წაგიყვან მამაშენთან. ჰო, მოდი, ნუ გრცხვენია... ოღონდ, დაიცა, დედა თუ იცის ქალაქს რომ მიდისარ?!

— დედა? არ იცის, ძია.

უცნობმა მანქანის კარი გამოაღო, აიყვანა ბიჭი და გვერდიდან დაისვა. ავტომობილმა გიგლას სახლისაკენ გაუხვია.

— ჯავრი არაფერია გქონდეთ, — ღიმილით უთხრა კარგმა ძიამ დედას, — მე და გიგლა ქალაქს ვნახავთ და ნახევარ საათში უკანვე დავბრუნდებით.

გიგლა პირველად იჯდა ასეთ ლამაზ მანქანაში; მამამისს მშენებლობაზე სატყუროთო მანქანა ჰყავს და სოფელში იმ დიდი მანქანით ამოდის ხოლმე, ეს მანქანა კი უფრო ჩქარა და რბილად მისრიალებს, აგერ იმ დიდი ქალაქისაკენ, რომელიც ასე წელა მოდის გიგლას პატარა, ლამაზი სოფლისაკენ.

ათიოდე წუთის შემდეგ ტიტველი გორები და დაღმართიანი გზა გათავდა. მანქანამ გაიყვანა და გზის ორივე მხარეზე წითელი ავუროს დიდი, ახალი სახლები გამოჩნდა. ერთმა გოგონამ მანქანა რომ დანახა, ქალაქის ჩიტი გამოაფრინა მესამე სართულიდან, მგერამ მანქანამ გაასწრო. ზოგი სახლი კი ჯერ არ იყო დამთავრებული; ისმოდა ჩაქუჩების რაკარუკი და ხერხების ხრიალი, ზოლავდა კირი და ქვიშა.

მანქანა რამდენიმე მშენებლობასთან გაჩერდა. სათვალეებიანი ძია გადმოვიდოდა, ვადმოიყვანდა გიგლასაც, „გამარჯობათ, ამხანაგებო!“ — იტყუოდა და უმალ ხალხი შემოესოდა. ათას რამეს ეკითხავდა ძია, მუშებიც შეეკითხებოდნენ.

გზაზე გიგლამ კეთილ ძიას სთხოვა:

— ერთი, გეთაყვა, მოედანზე გამიყვანეთ, მამაჩემმა იქ დიდი სახლი ააშენა და ისიც ვნახოთ...

ხუთი წუთის შემდეგ მანქანა ახალ ქუჩაზე იღდა.

— კარგია! — თქვა გიგლამ ახალ ხუთსართულიან შენობაზე.

კეთილმა ძიამ გაიღიმა, თავზე ხელი გადაუსვა, მერე ლამაზ მალაზიაში შეიყვანა და ვერცხლის ქალაქში შეხვეული შოკოლადი ჩაუღო ხელში.

— გამალობთ, ძია, არ მინდა! — დაირცხვიანა გიგლამ.

— აიღე, ნუ გრცხვენია!

— არა! — თქვა ბიჭმა და თავი გააქნია, — მერე იქაურობა მოათვალერა და სახელეწილმა თქვა:

— იცი, ძია, როგორი ფანქრები აქვს კოლასა? ქალაქიდან მოუტანეს.

— სათლელი ახლა! ასეთი...—და გიგლამ საჩვენებელი თითი მუკში ჩაიღო და სამჯერ გადაატრიალა.

ათი წუთის შემდეგ მანქანა სოფლის აღმართებს შეუღდა.—აი, შეხედე, მართლაც როგორ მოდის ქალაქი სოფელში!—თქვა ძიამ და გიგლა ქვემოთ გაახედა. ძირს მზეში მოსჩანდა ქალაქი, ვერცხლისფრად მიიკლანჯებოდა მდინარე და ქალაქის გარეუბნიდან სოფლის შეღმართებს მისდგომოდნენ ახალი, მაღალი შენობები.

ქიშკართან იდგა შემოეგება მანქანიდან გადმოსულ გიგლას. „გამარჯობა, დედილო, მოვედი!“—თქვა ბიჭმა, მერე, ისევ ავტომობილის ფანჯარას მიუბრუნდა:

— გმადლობთ, ძია, გმადლობთ... აი, გავიზრდები და მეც ინჟინერი ვაგხდები,—მაშინ ჩქარა ამოვიყვან ქალაქს...

— ეგ ძალიან გვიან იქნება, ჩემო გიგლაე—გაიცინა ძიამ,—მაშინ უკვე სხვა ქალაქების აშენება მოგიხდება!—მერე მიბრუნდი, ფერადი ფანქრების კოლოფი, მრგვალი სათლელი და კიდევ რაღაც შეგვერა გადმოაწოდა, ხელი დაუქნია, და მანქანა დიდი ქალაქისაკენ გასრიალდა.

კოტა ხან ასე იღვა ბიჭი. მერე დღეაღ მიუახლოვდა, კისერზე მოეხვია და ხმაშალო გასძახა აიენისაკენ:

— დიდდო, შაა, დიდდო... შშია!



ილია სიხარულიძე

რა კარგია რთველი!..

რა კარგია შემოდგომა,
რა კარგია რთველი!..
ჩვენ ყოველთვის რთველის მოსვენად
სიხარულით ვედი!

გვიხარია ყურძნის კრეფა,
ვესტუმრებით ვაზებს;
ყურძენს ვკრეფთ და კობტა კადათს
მსხვილ მტევნებით ვავსებთ.

კადათებს ვეცით მსხვილ გოდრებში,
გოდრებს—საწნახედში;
ყურძნის წვენი ჩქაფარქუფით
ქვევრებს ჩასდით ყედში.

ტკბილი დულს და ჩვენს მარანში
ისმის ბუყბუყ-ქენა;
აქ—ჭაგანმა, იქ—აკიდომ
ჭერი დაგვიმშენა.



მოვადულეთ ფეღამუში,
მსუყუა და ტკბილი;
ამოვავლეთ ჩურჩხელები,
ნიგვზისა და თხილის;

დავამზადეთ ზადაგი და
ბლმამ ტკბილის კვერი...
რა კარგია შემოდგომა,
რა კარგია რთველი!

არჩილის წიგნი

არჩილმა ზაფხული სოფელში გაატარა. კარგად დაისვენა, მოიკეთა და სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა თბილისში.

ხუმრობა ხომ არ არის, ახლა იგი მესამე კლასის მოსწავლეა. პირველ სექტემბრამდე სულ ხუთი დღეა დარჩენილი და რამდენი საჭმე აქვს გასაკეთებელი.

მაღაზიაში უნდა წავიდეს, ახალი წიგნები იყიდოს, სათითაოდ უნდა გადაფურცლოს, უნდა ნახოს, რას ისწავლიან, რანიირი სურათები დაბატული. სკოლაშიც უნდა მივიდეს, უნდა ნახოს, როგორ გაუმშენებინებიათ შენობა, ეზო.

რამდენი საჭმე ჰქონია არჩილს, მართლაც რამდენი საჭმე!

უცებ რაღაც მოაგონდა, თავის მაგიდასთან მივიდა. წიგნები გამოაღაგა. შემდეგ რამდენიმე წიგნი გვერდზე გადადო და თვალერება დაუწყო. რა კარგად არის შენახული ეს წიგნები, თითქოს მაღაზიიდან ახლა გამოუტანიათ, თითქოს არავის უხმარიაო!

არჩილი კი ამ წიგნებით მთელი წლის განმავლობაში სწავლობდა. ახლა უკვე აღარ სკირდება, უკვე დიდია, სხვა წიგნებით უნდა ისწავლოს; ეს წიგნები კი თედოს უნდა მისცეს,—მეზობლის პატარა ბიჭს. სოფელში წასვლისას აკი დაპირდა: თედო, როცა ჩამოვალ, ჩემ წიგნებს შენ მოგცემო. ისიც უთხრა: ჩემს მერხზე დაუკე, იგი ყველას სჯობია, მასწავლებელს პირდაპირ უცქერი და ყველაფერი კარგად გესმისო.

ახლა შეთანხმდნენ სოფელში წასვლისას.

ახლა უნდა მისცეს თედოს წიგნები, მაგრამ ქართული ლიტერატურის წიგნი ვინ დაიხია? ყდა ვინ მოაძრო ამ წიგნს, შიგ ფურცლებიც გაუხვევია ვილაცას!

მერე, როგორ უვლიდა არჩილი ამ წიგნს, როგორ უყვარდა იგი! რა კარგი მოთხრობებია შიგ, რა მშენებელი ლექსებია დაბეჭდილი!

ვის უნდა ჩაედინა ეს ცული საჭმე? ვინ იხამდა ამას მისი პატარა ძმის მეტი? არჩილი შინ რომ იყო, თავის მაგიდას ახლოსაც არ აკარებდა ავთანდილს, მაგრამ როცა სოფელში წავიდა, ავთანდილს მაშინ აურევია აქაურობა.

როგორ მოიქცეს ახლა არჩილი? ასეთ წიგნს ხომ ვერ მისცემს თედოს. რას იტყვიან, როგორი მოსაფეხა, წიგნის მოვლა არ სცოდნიაო.

უცებ არჩილს მოაგონდა, რომ მისი ამხანავის მამა, ძია შაქრო, მკინძავია. ისინი გვერდზე ცხოვრობენ, მეზობლად. მივა, სთხოვეს, ასწავლოს წიგნის აკინძვა, რომ ეს წიგნი ახალს დაამსგავსოს. ძია შაქრო უარს არ ეტყვის. არჩილმა წიგნი გაზეთში გაახვია, ბებიას უთხრა, სად მიდიოდა და გაკურცხლა. კვირადღე იყო და ძია შაქრო შინ დაუხვდა. ვაჭხარადა არჩილის ნახვა.

— ძია შაქრო, ავთანდილს ჩემი წიგნი გაუხვევია, ეს წიგნი თედოსათვის უნდა მიმიცეს, ასე ხომ არ მივეცემ. ამისხენით, როგორ გავაკეთო და მე თვითონ ავკინძავ.

ძია შაქროს გაეღიმა. წიგნი ჩამოართვა და უთხრა:—კარგი საჭმე გიფიქრია, არჩილ. თედოს უნდა დავეხმაროთ, ამ წიგნს დღესვე ავკინძავ; ისე გავაკეთებ, რომ ახალს სჯობდეს, შენ კი ჩემს ხელობას მერე გასწავლი.

არჩილი გახარებული დაემშვიდობა და სახლისაკენ გაეშურა.

საღამო ხანს არჩილს ქართული ლიტერატურის წიგნი ხელში ეჭირა, ფურცლავდა და გაკვირვებული იყო: თითქოს ხელიც არ ეხლოს ავთანდილს ამ წიგნისათვის. ძვირფასი ნამუშევარია! სანაქებო ოსტატია ძია შაქრო, მართლაც სანაქებო ოსტატი!

გახარებულმა არჩილმა მეორე კლასის წიგნები ერთად დააწყო, თედოს დაუძახა, გადასცა და უთხრა: აპა თედო, წაიღე, ახლაც გადაათვალიერე, თუ რამე ვერ გაიგო, ნუ შეგეშინდება, ყველაფერს მე ავიხსნიო.



მანუ ბალიშაძე

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

თაენება ცინდალი

ზღაპარი

ერთ გოგონას ჰყავდა რუხი ფერის პატარა ცინდალი. ის ისეთი ჯიუტი და თაენება იყო, რომ სულ თავის ქკუაზე დადიოდა და არავის უჯერებდა.

ერთხელ ცინდალი სასეირნოდ გამოვიდა. გოგონამ უთხრა: შორს არ წახვიდე, დაიკარგებო! არ დაუჯერა ცინდალმა და წავიდა ტყეში. იარა, იარა და დაიბნა. დადის ცინდალი ტყეში, დადის და შინისაკენ გზა ვერ იპოვა. ასე იხეტიალა დაღამებამდე. უცრად ტყეში ბუმ დაიკვილა, შეშინდა ცინდალი, დატუტკდა ჯირკზე და ტირილი დაიწყო.

ჯირკთან ბაქიამ გაიბრინა. დაინახა ცინდალი და ჰკითხა:

— აქ რას უზიხარ?

— სახლი დავკარგე! — მიუგო ცინდალმა.

— აი ჩერჩეტი, — გაუკვირდა ბაქიას, — ვისი შვილი ხარ?

— არ ვიცი, — ეუბნება ცინდალი, — მე პატარა ვარ!

— დედა ხომ გყავს?

— დედის მაგიერ გოგონა მყავს, — უპასუხა ცინდალმა.

გაეცინა ბაქიას, ჩატუტკდა, ააწყა-

პუნა ყურები და ჩაფქრა. იფიქრა, იფიქრა და ეუბნება:

— ხტუნაობა იცი?

— კარგად ვიცი, — უპასუხა ცინდალმა.

— მაშ ბაქია ყოფილხარ, — წამო, სახლში წაგიყვან.

წავიდნენ ერთად ბაქია და ცინდალი. გზაში პატარა რუ შეხვდათ. გადახტნენ მეორე ნაპირას და ბაქია ეკითხება:

— ასეთი პატარა ყურები რატომ გაქვს?

— რას ჩამაცვიდი, — გაჯავრდა ცინდალი, — „რისთვის და რატომ“. განა სულ ერთი არაა? სამაგიეროდ კული მაქვს გრძელი.

— კარგი, კარგი! — უთხრა ბაქიამ — განვაგრძოთ გზა!

ბაქიამ ცინდალი იმ ბოსტანთან მიიყვანა, სადაც კურდღლები ცხოვრობდნენ.

— დედიკო, — უთხრა ბაქიამ დედა კურდღელს, — ტყეში ბაქია ვიპოვე!

— კარგი, შვილო, — უპასუხა დედა კურდღელმა, — აქამე რამე და დაწეკით, უკვე გვიან არის.

ბაქიამ კომბოსტოს ფოთოლი აიღო და ცინდალს მიაწოდა.

— აჰა!

— რა არის „აჰა“?—ეკითხება ცინდალი.

— „აჰა“ ნიშნავს: გამომართვი და ჭამეო,—აუხსნა ბაქიამ.

— მე ამისი ჭამა არ ვიცი, ჯერ პატარა ვარ!

— რას დაგიჩემებია „პატარა ვარ და პატარა ვარ“,—გამოაჯაურა ბაქიამ;—მეც პატარა ვარ, მაგრამ აი, მიყურე!

გამოსტაცა ცინდალს კომბოსტოს ფოთოლი და უცბად შეეცუტუნა, მხოლოდ პატარა ნამცეცი დარჩა. გამოართვა ცინდალმა კომბოსტოს ფოთლის ნამცეცი და ცრემლები მოიწმინდა. დაინახა ცინდალი დედა კურდღელმა და თავი გაიქნია: არა, შენ ბაქია არა ხარო!

— მოდი, კურდღებო, აქ!—დაუძახა,—შეხედეთ, ეს რა ნადირი უპოვია ჩემს ბაქიას ტყეშიო?

შეგროვდნენ კურდღლები, უცქერიან და ვერ გაუგიათ—რა უცნობი ნადირი უნდა იყოს?... გამოვიდა ბუჩქიდან მოხუცი, კოჭლი კურდღელი და თქვა: ჩამომეცალეთ, შემახედეთო! აათვალიერ-ჩაათვალიერა ცინდალი და ჰკითხა:

— ხეზე აცოცება იცი?

— ვიცი!—უპასუხა ცინდალმა.

— ჰოდა, მაშ წამოდი, მე მიგიყვან შენს სახლამდე. ვიცი, ვინცა ხარ,—შენ ციყვის შვილი ხარ. ხედავთ: ყურები პატარა აქვს, კული კი—გრძელი და ბეწვიანი!

— მართალია, მართალი!—დაიძახეს კურდღლებმა:—რატომ ამდენ ხანს ვერ მივხვდიოთ?!

წავიდა კოჭლი კურდღელი და უკან ცინდალი გაჰყვა. გადაიარეს მინდორი, შევიდნენ ტყეში და მიადგნენ ერთ ბებერ მუხას. იქ, ფულუროში, ციყვი ცხოვრობდა. მიადგა კოჭლი კურდღელი მუ-



ხას, დაცუტკდა უკანა ფეხებზე და წინა ფეხებით მუხაზე დააბრახუნა.

— ვინა ხარ?—ჩამოსძახა ზევიდან ციყვმა.

— ეს მე ვარ,—კოჭლი კურდღელი, ციყვუნია მოგიყვანე!

— აქ ამოვიდეს,—უთხრა ციყვმა.—მე არ მცალია: მარაგს ვამზადებ საწამთროლო.

შეფორთხილდა ცინდალი მუხაზე. იცოცა, იცოცა, ძლივს ავიდა; შეჰყო თავი ფულუროში და ციყვმა კინკრია*) მიაწოდა.

— აჰა,—ეუბნება,—გამომართვი, ჭამე!

შენ თვითონ „აჰაო“, — უთხრა ცინდალმა. შენ თვითონ ჭამეო!—და ცინკრია გადაავლო.

*) კინკრია—მაქვის ნაფლთი.





— ოვგორ ვაბედე კიხკრიქუს ვადადედა? — დიუყვირა ციყვმა. — ახლავე გემ! — მოუქნია თათი, მავრამ შეჩერდა. დააკვირდა და ეუბნება:

— შენ ხომ ციყვის შვილი არა ხარ!
— არ ვიცი, — უთხრა ცინდალმა — მე ჰამა მინდა!

— რა გეჰამო, ხმელი სოკო გინდა? — ჰკითხა ციყვმა.

— არა, მე თავუნა მინდა, — უბასუხა ცინდალმა.

— აი, შე სულელო, — გაუჯავრდა ციყვი, — რატომ ამდენ ხანს არ მითხარი, მაშინვე მივხვდებოდი, რომ შენ ზღარბის შვილი ხარ. წამო, ჩქარა, შენს სახლში მიგიყვან.

ციყვმა ცინდალი დედა ზღარბთან მიიყვანა:

აი, წაიყვანეთ თქვენი ზღარბუნა, ტყეში ვიპოვეთო!

იქ მივიდეს, სხვა ზღარბებთანო, — უთხრა დედა ზღარბმა. — თავი შექამოს და დაიძინოს, უკვე გვიან არისო.

გაძღა ცინდალი და პატარა ზღარბებთან დაწვა თუ არა, მაშინვე წამოვარდა და ატირდა:

ვაი, ვაი, გვერდები დამიჩხვლიტეს, არ შემძლიაო!

გაეღვიძა დედა ზღარბს, გამოვიდა სოროდან და ეუბნება:

— აბა, რა უნდა გიყო? არც ბაქია ხარ, არც ციყვის შვილი, არც ზღარბის, — მაშ ვისი შვილი უნდა იყო?

— მე რა ვიცი, ჯერ პატარა ვარ! —

უბასუხა ცინდალმა.

დაამოქნარა დედა ზღარბმა და ისევ სოროში შევიდა დასაძინებლად. ცინდალი კი დატუტკდა ხის ძირში და მთელი ღამე ტირილში გაატარა.

დღლით, როგორც კი მშემ გამოხანათა, მალალ ვერხვზე ყვავს გაეღვიძა. დაინახა ცინდალი და ეუბნება:

— მე კი ვიცი, ვინცა ხარ!

— ვინ ვარ?! — ჰკითხა ცინდალმა ყვავს.

— ვინ და ცინდალი! — უბასუხა ყვავმა.

— არ მატყუებ? — ჰკითხა ცინდალმა.

— შე ჩერჩეტო! ცინდლები არ მიხახავს, თუ როგორ გგონია?

— ყვავო, ყვავო! ხომ არ იცი, სად ცხოვრობენ მაგისიანები? — ჰკითხა ზღარბმა.

— ვიცი!

— მაშ მიიყვანე სახლამდე!


გაფრინდა ყვავი და გამოუდგა უკან ცინდალი.

გავიდნენ ტყიდან გზაზე. დაინახა ცინდალმა სახლი, აიბოჯა კული და გაკურცხლა შინისაკენ. მიირბინა შინ და თქვა:

ტყეში არასოდეს მარტო აღარ წავალო!

თარგმნა პ. ჰანიშვილმა





მზის მთა

გვამართა ა. ჯიქაძის ხატვა

ჩინური ხალხური ზღაპარი

ძველად, სულ ძველად, ცხოვრობდა ორი ძმა. ერთი უფროსი, მეორე უმცროსი. უფროსი ძმის და ხარბი იყო და სურდა მამის ქონებას მთლიანად დაპატრონებოდა. მამა რომ გარდაეცვალათ, უფროსმა ძმამ ემშაქობას მიმართა და თავის უმცროს ძმას უთხრა:

— ძმაო, უკვე დროა მამის ქონება გავიყოთ; მოდი, ხვალ დილაადრიან წავიდეთ სახნავად. ვინც მეტს მოხნავს, ქონებაც იმისი იყოს. მხოლოდ ერთი პირობით: დილიდანვე ლუქმაც არ ჩავიღოთ პირში.

უმცროსი ძმა ყოველთვის უჯერებდა უფროსს. ახლაც დაუჯერა. დილით უფროსი ადრე წამოდგა, ცოლს საუზმე მოამზადებინა, კარგად გამოძღა და ძმა მერე გააღვიძა:

— აბა, წავიდეთ სახნავად!
გავიდნენ მინდვრად და ხენას შეუდგნენ. უფროსმა დილიდან უსმელ-უქმელ ძმას აჯობა მუშაობაში, და მამის მთელი ქონებაც მან მიისაკუთრა.

უმცროსს მეტი გზა არა ჰქონდა, მთებში გადაიხეწა. დასახლდა ერთ გამოქვაბულში, შემას სჭრიდა, ჰყიდიდა და თავს ძლიერ იჩენდა.

ერთხელ იგი ტყეში შემის მოსატანად გაეშურა. უტბად, ერთ ხეზე თვალი მოჰკრა კაქკაქის ბუღეს. აილო ჯოხი და ბუღეს დანგრე-

ვა დაუპირა. ბუღიდან კაქკაქი ამოფრინდა და შევედრა:

ბუღეს ნუ დამინგრევ, სამაგიეროდ მზის მთაზე წაგიყვან და საუნჯით ყელამდე აგავსებო!

— რა საუნჯით?— დაეძვდა უმცროსი ძმა.
— მზის ამოსვლამდე აქ გაჩნდი, თან პატარა პარკი წამოიღე და მაშინ ნახავ იმ საუნჯეს!

მეორე დღეს, გათენებისას, უმცროსი ძმა პატარა პარკით კაქკაქთან გაჩნდა და ორივენი მზის მთაზე გაეშურნენ.

როცა მთის მწვერვალს მიაღწიეს, უმცროსმა ძმამ თვალს არ დაუჯერა: ოქრო და თვალმარგალიტი ზვინებდა იღვა. აავსო უმცროსმა ძმამ თავისი პატარა პარკი ძვირფასი განძეულით, მადლობა გადაუხადა კაქკაქს და შინ დაბრუნდა. მალე გამოქვაბული მიატოვა, დიდებული სახლი აიშენა და ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

უფროსმა ძმამ გაიგო უმცროსის გამდიდრების ამბავი და შეშურდა. აილო ჯოხი, მიირობინა იმ კაქკაქთან და ბუღის დანგრევა დაუწყოს. ისევ გამოფრინდა ბუღიდან კაქკაქი და უფროს ძმასაც შეჰპირდა მზის მთაზე წაყვანას.

— მხოლოდ გახსოვდეს, დიდი კი არა, პატარა პარკი წამოიღე!— დაარია კაქკაქმა.



19125

89 / 127



უფროსმა ძმამ ვაიფიქრა: პატარა პარკი რას მყუაფაო: დაბრუნდა სახლში და ცოლს ყველაზე დიდი ზეურის ტომარა შეაყვინა.

მეორე დღეს, გათენებისას, უფროსი ძმა და კაკაკი მზის მთაზე გაეშურნენ. როცა უფროსმა ძმამ უთვალაღი ოქრო და თვალ-მარგალიტი დაინახა, სიხარბისაგან ყველაფერი დაევიწყა და გამალბებით შეუღდა ტომრის ავსებას. მაგრამ ტომარა ძლიერ დიდი იყო და უფროსი ძმა იმდენ ხანს მოუნდა მის ავსებას, რომ ცაზე უკვე მზის სხივები გამოჩნდა.

— ჩქარა ვაიქცეთო, — დაუყვირა კაკაკმა, — თორემ მზე ამოვა და დაგწყავს!

მაგრამ უფროსი ძმა ყურს არ უგდებდა, უნდოდა, რაც შეიძლება მეტი განძი წაეღო. რამდენს არ ეცადა კაკაკი, მაგრამ უფროსი ძმა განძეულს არ მოეშვა: ივსებდა და ივსებდა ტომარას.

მზე ამოვიდა, დაინახა, რომ მის მთას ვილაც ხარბი კაცი დაჰპატრონებოდა და თავისი სხივებით დასწვა.

მოხუცები ამბობენ, რომ მუდამ ასე ზღებამზე არასოდეს დანაგზავს ღარიბს. გაათბობს და თავის ოქროს უწილადებს. მაგრამ, თუ ვაუმძღარი მდიდარი დაეხარბება და ყველაფრის დასაკუთრებას მოინდომებს, განრისხებული მზე დასწყევსო!

უდაღე: „შემოდგომა“ ნაბატი უჩა ჯაფარიძისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ ზეზვაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ევ. ბურჯანაძე, თ. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მ. მუც. მრეველშვილი, თ. სიხარულძე, ნ. უნაჟუშვილი, თ. ცხადაძე.

Д И Д А — еженедельный журнал ЦК ЛКСМ Грузии № 10, Октябрь 1951г. Тбилиси, Левина 14. Детониздат Грузии. საბჭოთაო ჩრდილოეთის მიმართ: თბილისი ღვინის 14, 3 სართ. ტელ. 4-7-28. გამომც. ზეკვ. № 415 სტამბის შეჯ. №21111041 ტრიაგი 150% ჯ 02821 ტექსტი ამუშოვდა ჯ. პ. ზეჩიას სახელობის პოლიგრაფიკული-მექანიკის სტამბაში. კერძო დაბეჭდილი, ოსტატის საბჭოთა მანქანაზე „ზარია ვოსტოკის“ სტამბაში: თბილისი, რუსთაველის ქროს. № 42

